მ. ჯანაშვილი

ვახტანგ გორგასალი

მოამბე
1899 № III

ვახტანგ გორგასალი

(472-532)

ვახტანგ გორგასალის ცხოვრება მეცნიერებს, თითქმის, ზღაპ-
რად მიაჩნიათ. რად? იმიტომ, უმთავრესად, რომ მისს «ცხოვრე-
ბაში» მოხსენებული ამბები არ ემოწმებიან მსოფლიო ისტორიის
გადმოცემათ იმავე დროის შესახებ, რა დროსაც, ვახუშტის ქორო-
ნიკონით, მეფობდა ვახტანგ გორგასალი. გარნა ჩვენის მატიანის
ზედმიწევნით შესწავლა მეცნიერების ამგვარ აზრს სრულიად არ-
ღვევს და ვახტანგს მიაგებს იმას, რაც ეკუთვნის.

ისტორიკოსის ვახუშტისა და მისს მიმდევართ ბრალია, რომ
აქამდის ვახტანგს ზღაპრულ ანუ ნახევრად ზღაპრულ გმირად მიიჩ-
ნევს მეცნიერება!

ვახტანგის ცხოვრების დასაწყისშივე (ქ.-ცხ., გკ. 121) სწერია:

„მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა... მირიან მეფი-
სითგინ ვიდრე ვახტანგ მეფისამდე გარდაცვალებულ იყო ნა-
თესავი ათი და მეფენი რვანი [1]) და წელიწადნი ას ორმოც და
ათ შვიდმეტი“.

ვახუშტს ყურადღება არ მიუქცევია ამ 22 წლისათვის, რო-
დესაც მირიანიდან ქორონიკონი ყოფილა 157 და არც იმისთვის,
რომ მხოლოდ ამ 157 ქორონიკონიდან იწვება გრძელი ისტორია
ვახტანგ მეფისა (გვ. 121–149), არამედ არც უციებია და არც

---

1) ვახტანგის მიერ კათალიკოზის განწესების ქორონიკონს კი „გარ-
დაცვალებულიყო მეფენი ა თ ნ ი“. (იხ. ქვემო).

უცხელებია და გადაუწყვეტია, სწორედ ამ ქორონიკონს, ესე იგი
499 წელს (რადგან 342 (+მირიანი) +157=499) გარდაცვ-
ლილა ვახტანგიო! და რადგან ეს ქორონიკონი (499 წ.) ქართ-
ლის ცხოვრებაში შესულა და გავრცელებულა, ვახტანგის ცხოვრე-
ბაც საზღაპრო შექმნილა, რადგან ეს ცხოვრება შემდეგ 499 წლი-
სა ყოფილა და არა მანამდე.

ვახტანგ მეფის ცხოვრების დრო-ჟამის გამოსარკვევად ქართ-
ლის-ცხოვრებავე გვაძლევს რაოდენიმე ქორონიკონს და ყველა ეს
ქორონიკონები გკიჩვენებენ, რომ გორგასალი აღსრულებულა 532
წელს.

ა. ქართლის-ცხოვრებაში აღნიშნულია ქორონიკონები სხვა-
და-სხვა შემთსხვევათა ვახტანგის ცხოვრებიდან და ეს ქორონიკო-
ნები ეთანხმებიან მსოფლიო ისტორიის ცნობებს შესახებ საქარ-
თველოს მეფის გურგენისა (იგივე გორგენ, კურკენ).

ბ. ვახტანგის მიერ ოსეთს გალაშქრების შემდეგ სპარსეთში
სამი ყმანი გარდაიცვალა (ქ.-ცს., გვ. 133 და 146) და გამეფდა
მეოთხე ხოსრო 1 (531 წელს).

გ. 531 წელს ვახტანგი მიწევნილი იყო ვიდრე 60 წლამდე დაბადებიდან (ქ.-ცს., გვ. 146).

დ. ვახტანგი მიიცვალა «აფხაზთა ცხოვრებით»[2]) ქკ´ას: რნე, დასაბამიდან: ხფლთ“.

ე. კათოლიკოზი რომ განაწესა ვახტანგმა, მაშინ ქორონიკონი რო (170 წ.).

ყველა ეს ქორონიკონები სმა-მაღლა ღაღადებენ, რომ ვახტან- 499 წელს არა თუ არ მომკვდარა, არამედ იგი ამ დროს ისევ ახალგაზდა ვაჟკაცი ყოფილა.

531 წელს რომ გამეფდა ხოსრო I-ლი, მან შემოუთვალა ვახტანგს: „მოკვდა მამა ჩემი და ერმან მისმან მე მყო მეფედ. მოხუცებულთა მიბრძანეს, მოვიდე შენ წინაშე და შენ წარმიძღვი ბრძოლად ბერძენთა და ასული შენი მომეც ცოლად“.

---

[2]) ნაწყვეტი ამ „აფხაზთა ცხოვრებისა“ იხ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ (1, გვ. 50).

ვახტანგი მაშინ აშენებდა ქალაქ ტფილისს და საფუძველი ოდენ დაედვა. იგი მიწევნილ იყო დღეთა ვითარ სამეოცისა წლისა“. (ქ.ცხ., გვ. 146).

ვახტანგმა ყანის ელჩებს უთხრა: «ამისი თქვიან: მჭედელო, განმასვე მახვილი შენი, რათა მსწრფლი განეწონოს ასოთა შენთა!» და უარი შეუთვალა ყაენს, ხოსრო შემოებრძოლა. ვახტანგი დაიჭრა და მოკვდა.

ყველა ეს ამბები მოხდა 532 წელს და რასან ამ დროს ვახტანგი იყო 60 წლის ა, მ. შ იგი დაბადებულა 472 წელს. და ამ წლებ შორის კი (472–532) მართლაც მოჰხდა ყველა ის ამბები, რაც მოთხრობილია მატიანეში ვახტანგის შესასებ.

ა) სპარსეთში მეფობს ოთხი ყაენი: ორმუზდ III და მისი ძმა ფირუზი (+488 წ.), ბალატ (488 – 491 წ.), კობად I (იგივე კაბად) (491 – 531 წ.) და ხოსრო I (531 წ. 13 ენკენისთ. – 579 წლ. თებერვლამდე).

ბ. ვახტანგის ცხოვრების ქორონიკონები:

ვახტანგის გამეფება 479 წ. (472+7) [3])

გალაშქრება ოსეთს 488 წ. (472+16) [4])

საბერძნეთს ლაშქრობის გაპირება 494 წ. (472+22) [5])

საბერძნეთს გალაშქრება 499 წ. [6])

პირველი ომი სპარსებთან 504 წ. (491+3) [7])

წამება წმ. რაჟდენისა წრომს 504 წ. [8])

ზავი ქართველთა და სპარს-ბერძენთა შორის 504 წ. [9])

5 წლის დაჩის გამეფება და ვახტანგის წასვლა სალაშქროდ „ინდოეთს“ 504 წ. [10])

---

[3]) 7 წლისა ტახტზე დაჯდა.

[4]) 16 წლისამ ოსეთს გაილაშქრა.

[5]) 22 წლისა იყო მაშინ.

[6]) მირიანიდან ქორონიკონი იყო 157 (342+157=499).

[7]) სამი წელიწადი გასულიყო ბერძნებთან ომის შემდეგ.

[8]) პირველი შემოსევის ჟამს იწამა.
[9]) ეს იყო სპარსთა შემოსევის წელს (ქ.-ცხ., გვ. 137).
[10]) იქვე.

ვახტანგის დაბრუნება და კათალიკოზის განწესება 512 წ. (504+8) [11])

სვეტიცხოვლის აშენება მცხეთას 512 წ. [12])

ტფილისის აშენება 531 წ. [13])

ვახტანგის სიკვდილი 532 წ. (472+60). [14])

გ. ზემოთ ვთქვით, რომ აბხაზთა ცხოვრება» ვახტანგის სიკვდილის წელიწადს დასდებს «ქკ́სა: რნე, დასაბამიდან: ხფლთ.“ ესეც სწორეა: ა) ქორონიკონი რნე (155) ქრისტესით=780 –248–532 წ. და ბ) ქორონიკონი ხფლთ (6539) დასაბამიდან = 6539 –(5604 +248 +155)=532 წ.

დ. რომ კათალიკოზის განწესების წელიწადიც სწორეა ჩვენ მიერ ზემორე გამოანგარიშებულ 512 წელიწადთან შედარებით, ესეც მტკიცდება თვით ქართლის ცხოვრებისა და «ქართლის მოქცევის» ჩვენებითა და ქორონიკონით.

ამ მატიანეებში სწერია: „ვახტანგ მეფემან დასვა პეტრწ კათალიკოსი, და ესე იყო ქართლის მოქცევიდან (იგულისხმება მირიანის გარდაცვალების წელიწადი 342): რო წელსა, მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარ-ეპისკოპოსნი ათცამეტნი, ხოლო პირველი კათალიკოსი იყო პეტრწ“.

რო (170) წელიწადი მირიანიდან უდრის სწორედ 512 წელს (242+170-512.

თვით გარდაცვალებულ მეფეთა და მთავარ-ეპისკოპოსთა რიცხვიც სწორეა:

+ ათნი მეფენი: მირიან. რევ. ბაქარ. მირდატ III. ბაქარ II თრდატ. ფარსმან. მირდატ IV. არჩილ. მირდატ V. [15])

---

[11]) რვა წელიწადს დაჰყო „ინდოეთის“ ომში და დაბრუნების წელიწადს განაწესა კათალიკოზი (ქ.-ცხ., 144).
[12]) იქვე, 155.
[13]) იქვე, 146.
[14]) იქვე.
[15]) ვახტანგის ცხოვრების დასაწყისში, 157 ქორონიკონამდე მირიანიდან, მატიანე სთვლის ა თ ნათესავს და რ ვ ა მეფეს, ხოლო ვახტანგის მიერ კათალიკოსის განწესებას ქორონიკონი იყო 170 და მეფენი „გარდა-

+ 13-ნი მთავარ-ეპისკოპოსნი: იოანე I. იაკობ. იობ. ელია. სვიმონ. იოანა. იოანე II. გრიგოლ. ბასილი. მობიდან. გლონოქორ. იოველ. მიქაელ.

მაგრამ ეს ცოტაა კიდევ. თვით ქართლის ცხოვრების მოთხრობა შესახებ ვახტანგ გორგასლისა და მსოფლიო ისტორიის ცნობები შესახებ გურგენისა აგრეთვე არ განსხვავდებიან, ანუ, თუ

განსხვავდებიან, განსხვავდებიან წვრილმანობაში.

აქვე ჩავურთავ საზოგადო განხილვას გორგასალ – გურგენის დროის საქართველოს მდგომარეობის შესახებ. [16])

საქართველო მდებარეობდა ბერძენ-რომაელთა და სპარსთა იმპერიებს შორის და რადგან მაგარი ადგილმდებარეობდა ჰქონდა და მეომარი ხალხით იყო დასახლებული, ამიტომ მისი მიმხრობა ორივე მხარეს ენუკვოდა. ხოლო ეს იმპერიები ძველი დროიდანვე ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ და ხშირად იბრძოდნენ არათუ მარტო საქართველოს დაჩემებისათვის, არამედ მთელის სომხეთისა და მცირე აზიისათვისაც.

დარიოზის სიკვდილის შემდეგ სპარსთა სახელმწიფო დაიმხო. სელევკიდების ნამუსრევზედ გაბატონდნენ პართნი, ესენია სკვითის ტომისანი იყვნენ. ამათ გაავრცელეს თვისი მფლობელობა ასრუეთიდან კასპიის ზღვამდე და ინდუსტანამდე. სპარსთ ედოთ მძიმე უღელი 500 წლის განმავლობაში. პართთა ხელმწიფე არტაბანს ევანდა სახელოვანი მეომარი – არდაშირი (იგივე ბაბეკენ – სასანი), რომელიც მოიძულა მეფემ და განაძო, არდაშირმა თვისი თავი გამოაცხადა სპარსთა ტახტის მპყრობელად. სპარსთ თავი მოიყარეს

ცვალებულ“ იყო ა თ ი. „ქართლის ცხოვრება“ მეფედ არა სთვლის რ ე ვ ს და „ქართლის მოქცევა“ კი მირდატ III-ს, მაშასადამე უამათოდ ვახტანგამდე უმეფნია მხოლოდ რვა მეფეს. კათალიკოსის განწესებამდე მეფედ იყო ჯერ ვახტანგი **(479–504)** და მერე მისი ძე დაჩი **(504–512 წ.);** (ვახუშტით დაჩი **499–514 წ.).** მაშასადამე, თუნდ რევი და მირდატ **III** არ დავთვალეთ, კათალიკოსის განწესებამდე მაინც ა თ ი მეფობა ხვდება: მირიან. ბაქარ. ბაქარ. II. თრდატ. ფარსმან. მირდატ (III). არჩილ, მირდატ (IV), ვახტანგ. დაჩი.

[16]) იხ. Эдуардъ Гиббонъ. Исторіа упадка и разрушетя Римской имперіи. – Георгъ Веберъ. Всеобщая исторія.

მისს გარეშემო და აღიარეს იგი ყაენად (226 წ. ქ.-შ.). არდაშირი სამგზის შეებრძოლა პართთა მეფე არტაბანს, სახელოვანად გაიმარჯვა, მოკლა თვით არდაბანიც და აგრეთვე სომხეთის მეფეც.

ასრე გახელმწიფდა არდაშირ-ბაბეკენ სასანი და ასრე დაიდო დასაწყისი სასანელთა დინასტიისა. ამ დინასტიამ იმეფა 425 წელიწადი და ამდროს განმავლობაში ისეთი სიძლიერე გამოიჩინა, რომ, ხშირად, არათუ ქართველ-სომეხთა მეფეებს, არამედ თვით ძლიერ ბიზანტიის იმპერატორებსაც ბურთივით ათამაშებდა.

შუამდინარესა (ტვიგროს-ევფრატის სეობანი) და შავ ზღვას აქეთი მხარე ყაენებს თავისად მიაჩნდათ. დარიოზის დროსაც ჩვენი იყოო. სოლო გალაღებულნი იმპერატორნი ამბობდნენ, საქართველოცა, სამხეთიცა და შუამდინარეც ჩვენიაო. ამ შუღლმა და ცილობამ გამოიწვია საშინელი ბრძოლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ბრძოლის ასპარეზად შეიქმნა საქართველო, სომხეთი და მცირე აზია. არდაშირის დროიდან არაბების შემოსევამდე ეს ქვყეენები ხან ყაენებს რჩებოდა და ხან იმპერატორებს, მიხედვისამებრ იმისა, რომელი მათგან ძლევამოსილად გამოდიოდა ბრძოლის ველიდან.

მომყავს მოკლე ნუსხა სპარს-ბერძენთა შეტაკებისა არდაშირის დროიდან ვახტანგ გორგასალამდე, რათა შევიტყოთ, რა გარემოება წინ უძღოდა მისს გამეფებას.

არდაშირმა დაიმორჩილა მრავალი ქვეყნები. მისი მფლობელობა უწევდა ერთის მხრით ტვიგროს-ევფრატამდე, მეორე მხრით კასპიის ზღვამდე და ოქსუსამდე, მესამე მხრით ინდის მდინარემდე და მეოთხე მხრით სპარსეთის სრუტემდე. არდაშირი შეებრძოლა რომაელებს, გარნა ვერ წაართო მესოპოტამია (შუამდინარე). მისმა შვილმა საფორმა დაიპურო სომხეთი და შეესია მცირე აზიას. იმპერატორი ვალერიანე შემოებრძოლა მას, მაგრამ ძლეულ და ტყვედ წაყვანილ იქმნა. საფორმა იმპერატორად დანიშნა კირიადი (260 წ.) და გაანადგურა ანტიოქია, დაიპურა ასურეთი, კილიკია და აიღო კათბადუკიის ქალაქი კესარია, საცა იყო 400,000 მცხოვრები. გალიაში ჩასმული ვალერიანე საჩვენებლად დაჰყავდათ და, რომ მოკვდა, გაატყავეს, მისი ტყავი თივით გამოტენეს და ჩამოკიდეს სპარსთა უპირველესს ტაძარში.

296 წელს მესოპოტამიაში შეიბნენ საფორის მემკვიდრე ნარსესი და იმპერატორი დიოკლიტიანე. უკანასკნელმა გაიმარჯვა. მტრებს შორის შეკრულ ზავის ძალით არეზი დაიდგა მიჯნად იმპერიასა და სხყაენოს შორის, სომხეთს დაენიშნა მეფე და საქართველოს მეფეების დანიშნვაც იმპერატორებს დარჩათ. გარნა ასრეთი ყოფა დიდხანს არ გაგრძელდა. საფორ II-ემ მრავალგან დაამარცხა ბერძენ-რომაელნი და სომხეთი, და საქართველო კვლავ დაიბრუნა. სომხეთში შევიდა თვით საფორი, ხელთ იგდო მეფე ტირანი, ეგზატანიის საპყრობილეში ჩააგდო და მოკლა. სომხეთი ჩააბარა ერთს თვისს საყვარელ ხადუმს და უბრძანა, დაეპყრო საქართველოს «მეომარი ერი». აქ მაშინ მეფობდა სავრომაკი (=საურმაგი), ხელმწიფედ დადგენილი რომაელთაგან. სპარსთა მოსვლისავე უმალ სავრომაკი გაიქცა. «მეფეთა მეფემ საქართველოს ხელმწიფეთა გვირგვინი მისცა ერთს თვისს მოძულებულ ქვეშევრდომ მთავარს – ასპაკურს (=ასფაგური). ამ სპაკურის ცოლშვილი ტევედ იყვნენ სპარსეთში. ასპაკურმა და საკრომკმა ძმურად გაიყვეს საქართველო (365 – 378 წ.). რომაელებს შინაური საქმე გამოუჩნდათ. მათი ლაშქარი წავიდა. საფორი შეიქმნა ბატონად აღმოსავლეთისა.

378 წელს რომ მოკვდა 70 წლის საფარი, სპარსთა სახელმწიფოს საქმეები აირია. სომხეთმა და საქართველომ თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ მცირე სნით. იმპერ. ვალენტის ბრძანებით შებოჭეს სომხეთის მეფე პარა და მოკლეს, ხოლო თვით სომხეთი შუაზე გაიგეს სპარს-რომაელებმა 431 წელს.

ამავე დროს მთელი იმერეთი (ლაზიკა, კოლხიდა) კეისრის კუთვნილებად ითვლებობა. აქ იყო მაგარი ციხე-ქალაქები: არქეოპოლი (ცხუმი), ვარდციხე (როდოპოლი), მუხირეზისი (თუსარისი ჭოროსზე), ქუთაისი, უსმერიონი (არქელის გორა), სკანდა, შორაპანი. 457 – 461 წლებში სვანები ებრძოდნენ ლაზებს (კლარჯებს). ლაზთა მეფე გუბაძე მიემხრო კეისარს, სვანნი კი ყაენს. გუბაძე წაკიდა კოსტანტინეპოლს. მას ეცვა სპარსული ტანისამოსი და

ჰყვანდა მცველები. გუბაძემ პირმოთნეობა იხმარა, რომ დაემსახურა კეისრის ქება და ამასთანავე კეისარს დაუმტკიცა ქრისტიანულს სიმ-

ბოლოს აღვიარებო. ამ დროს სპარსნი და ივერნი ებრძოდნენ ჰონ-ნებს. [17])

ჩვენ უკვე ახლოსა ვართ ვახტანგის დაბადების დროსთან, მე-სამე საუკუნის გასულს საქართველოში გამეფდა სასანელთა დინას-ტია. მოგვარე მეფეების გახელმწიფება საქართველოში ყაენების სი-ამავე იქნებოდა, თუ ამ მეფეებს არ ეღალატნათ ცეცხლის მსახუ-რობისთვის და არ გაქრისტიანებულიყვნენ ერითურთ. ყაენებმა კარ-გად იცოდნენ, რომ სარწმუნოებრივი ერთობა ორთა სახელმწიფო-თა შორის მოასწავებდა თვით პოლიტიკურს ერთობასაც. და ამი-ტომ მათს მრისხანებას საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ საზღვარი აღარა ჰქონდა. ახლა იგინი ცდილობდნენ საქართველოს დამონებას არათუ მარტო პოლიტიკურად, არამედ სულიერადაც, სარწმუნოებრივის მხრივაც.

სპარსთა სარწმუნოება იყო ცეცხლისა, სინათლისა და მზის მსახურება. სპარსეთში 80,000 მოგვი იყო. ვისაც სურდა ცხო-ნება, კურთხევა უნდა მიეღო «დესტურისაგან» [13]). იგივე სარწმუნო-ება მოგვება – დასტურებითურთ იყო ჩვენშიაც და ახლა რომ ეს სარწმუნოება უკუაგდეს ქართველებმა, სპარსთ ემწვავათ და კინაღამ არ დაღუპეს საქართველოცა და მისი ახალნერგი რჯულიც.

მირიანი რომ მოინათლა ქართველებითურთ, არ გაქრისტიანდა რანის ერისთავი ფეროზი, სიძე მირიანისა. მისი გაქრისტიანება მოხდა მხოლოდ შემდეგ ში, მაშინ, როდესაც მირიანის ძემ ბაქარმა დაუთმო. სამშვილდიდან მიღმართ აბოცამდე და მაგიერად რანი თი-თონ დაინარჩუნა.

სწორედ ამ ხანს იყო დიდი ბრძოლა სპარსთა და ბერძენთა შორის საქართველოს განაწილების შესახებ. და ეს ბრძოლა და-სრულდა მით, რომ დასავლეთის საქართველოში მეფედ დაჯდა ბერ-ძენთა მომხრე სავრომაკი და აღმოსავლეთისაში კი ასპაკური (=მე-ფე ვარაზბაკური=(ვარ)ასბაკური).

ქართლში შემოვიდა ყაენის სპასალარი, სოფელ ტფილისში ააშენა შურის ციხე, დახარკა მეფე და წავიდა. მთელი კლარჯეთი ბერძნებს დარჩათო, – ამბობს ქართლის ცხოვრება.

---

[17]) განდ. ნაწილი II, გვ. 67–69.

[18]) „დესტური“ იგივე ჩვენებური დასტურია.

რაოდენიმე წლის შემდეგ კვლავ ეწვივნენ საქართველოს სპარს-ნი, დაიპურეს ქართლი, «გარყვნეს ეკლესიანი» და «აღაგზნეს ცეცხ-ლა», სოლო ქართველებმა «ჯვარები დამალეს». ქართლის გამგეობა ყაენმა ჩააბარა ბარზაბოდს, რომელიც იყო ერისთავი რანისა, მო-კაკანისა და ადარბადაგანისა. ამ ბარზაბოდმა ქართლ-ერეთის ერის-თავად დანიშნა ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი გლონოქორი მეფე

მირდატი კი ტყვედ წაიყვანეს და ტყვეობაშივე მოკვდა.

სამს წელიწადს ამერეთი უმეფოდ დარჩა. ამის შემდეგ ვახტანგ გორგასალის პაპა არჩილი მიემხრო ბერძნებს, «გამოაჩინნა ჯვარნი», ეკკლესიები შეამკო და ცეცხლის მსახურნი განდევნა. მალე მეფე დაემოყვრა ბარზაბოდს და მისი ასული სანდუხტი ცოლად შერთო თავის შვილს მირდატს. სანდუხტი ცეცხლის მსახური იყო. მას მიჰგვარეს «რჯულის მეცნიერნი კაცნი», რომელთაც უთარგმნეს სახარება. ამის შემდეგ სანდუხტი მოინათლა.

ამ სავალალო დროს ორად გაყოფილი საქართველო მთლად მისუსტებულიყო, და ეკკლესიაც რაღაც «ორობას» წარმოადგენდა – ქრისტიანობასა და ცეცხლის მსახურებას. მთავარეპისკოპოსად მცხეთაში იჯდა სპარსი მობიდან, რომელიც მხოლოდ გარეგნობით ჰგვანდა ქრისტიანეთა ეპისკოპოსს, ხოლო გულით კი იყო „ურჯულო, შემშლელი ქრისტიანულ წესთა, ნამდვილი მოგვი და ფარულად მწერალი საცთურების წიგნებისა “.

აგერ სანდუხტ დედოფალი, დედა ვახტანგისა და ასული ბარზაბოდისა, რანს მისულა, ამოუყრია ძუძუები, პირქვე დამხობილა მამის წინაშე, პირი დაუდვია მისს ფეხებზე, რომელთაც ალტობს თვისის ცრემლით. იგი ითხოვს შეწყალებასა და შენდობას და ეეედრება, არ აიძულოს დატევებად ქრისტეს სჯულისა და მოურავ ექმნეს სპარსთა მეფის წინაშე. კარგიო, – უპასუხებს ქართველთა დედოფალს მძლავრი ბარზაბოდ, – იძულებით არავის დაგატევებინებთ ქრისტეს რჯულს, გარნა თქვენს ქალაქში გამოვგზავნი ცეცხლის მსახურ ეპისკოპოსთ და «ვინცა ქართველი ნებითა თვისი-აღირჩევს სჯულსა ჩვენსა, ნუ დაუშლით».

დედოფალი დაბრუნდა. ბარზაბოდმა მცხეთას გამოგზავნა ცეცხლის მსახურნი და მათზედ ეპისკოპოსად ბინქარი.

10 მოამბე

ჯვარსა და ცეცხლს შორის გაიმართა ბრძოლა, ბრძოლა არა თანასწორი, რადგან ცეცხლის მხარეს იყო სიძლიერე ყაენისა. ბინქარ ეპისკოპოსი იწვევდა ერს ცეცხლის გარეშემო, ქრისტეანეთა მღვდლები კი ჯვრის ტვირთვად. მოგვთას (არმაზს) ისევ ძველებურად მოგვნი მოგვობდნენ, ხოლო შიგ მცხეთაში კი მღვდელნი მღვდელობდნენ. ერი გაიყო ორ ბანაკად: წარჩინებულნი ქრისტიანებად დარჩნენ და არ უღალატეს ნინოს-მიერ განთესილ სწავლას, ხოლო წვრილისა ერისაგანნი ცეცხლის მსახურებას შეუდგნენ». დედოფალი და წარჩინებულნი გრძნობდნენ საშიშ მდგომარეობას და იმის მეტი ღონე არა ჰქონდათ, რომ საყდრის დასაცველად მოე- უკანათ საბერძნეთით ჭეშმარიტი მღვდელი» მიქელ და იგი დაედგინათ ქრისტეანეთა ეპისკოპოსად.

ვახტანგ გორგასალი, რომელიც შვიდი წლისა დაობლდა, ჯერ ისევ ერმა იყო. მას ასწავლიდა ხსენებული მიქელ ეპისკოპოსი და რომ 15 წლისა შეიქმნა, «ბრძენსა» და «ფილოსოფოსს» დაემსგავსაო.

ამ 15 წლის ჭაბუკმა მოუწოდა ყველა წარჩინებულ კაცებს, «შემოკრიბნა ყოველნი ქალაქნი, მოამზადა ერთი სახლი, დაჯდა «საყდართა ზედა მაღალთა» (სამეფო ტახტზე), ჯუანშერ სპასპეტი

და ორნივე ეპისკოპოსნი (ამათგან ერთი ალბად იყო მთავარეპის-
კოპოსი და მეორე სამთავრელი) დასხდეს საყდართავე, და სსვანი ყო-
ველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, ათასისთავნი და ასისთავნი
და ყოველი ერი წარმოდგეს ზე, და ყველა ამათ ახალგაზდა მეფემ
უთხრა: «...არა დავითმინო კიცხვაჲ ოვსთა... ვიძიოთ შური მათ-
ზედა. უკეთუ წაგვეკიდებოდა ესე სპარსთა მეფისაგან ანუ ბერ-
ძენთა მეფისაგან, მოვითმენდით. არამედ რაჲ მოწევნულ არს
ჩვენზედა ოვსთა კაცთაგან, არა ჯერ არს მისი დათმენაჲ, სიკვ-
დილი სჯობს თავთა ჩვენთათვის».

ჯუანშერ სპასპეტმა მეფეს ურჩია, შენ ჯერ ჭაბუკი ხარო,
ლაშქარი რომელსამე ჩვენთაგანს ჩააბარე და შენ შინ დარჩიო, გარნა
მან არ ინება. მე არა ვარ მორჩილი ზრახვისა მაგის შენისა, ყო-
ველნი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი მწუხარებასა შინა დამი-
ყოფიან, ვითარცა მყოფსა ბნელისასა. სიწყალული დისა ჩემი-

სა განლევს გულსა ჩემსა, ვითარცა მახვილი ცეცხლისა. სიკვ-
დილი მირჩევნია თავისა ჩემისათვის, ვიდრეღა სიცოცხლე. მინ-
დობითა ღვთისა და წინამძღვარობითა ჯუარის პატიოსნისა
თავით ჩემით წარვალ და ვესავ მრავალ მოწყალებათა მისთა,
რათა არა განმწიროს და მომცეს ძლევა».

მეფის მტკიცე სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა უველანი და ერთ-
სმადა შეღაღადეს: ცხონდინ, მეფეო, უკუნისამდე. იქმნეს გან-
ზრახვაჲ შენი. ღმერთმან დამბადებელმან მოავლინეს ანგელო-
ზი თვისი ძალად შენდა და დასცენ ყოველნი მტერნი შენნი».

გადასწყდა ოსეთს გალაშქრება.

ოსები და ჩრდილოეთის ველურები საქართველოში თარეშობ-
დნენ 457 წლიდან. სწორედ ამ წელს სარაგურები და აკატირები შე-
ცვივდნენ სპარსეთში, გარნა კასპიის კარები გამაგრებული იყო,
ამიტომ პირი იბრუნეს და სხვა გზით შემოვიდნენ საქართველოში
და გააოხრეს ქვეყანა, და აქედან დაუწყეს რბევა სომხეთის ქალა-
ქებს [19]).

ქართლის ცხოვრების სიტყვით, ურიცხვი ლაშქარი ოსებისა
შემოვიდა ქართლში და მოაოხრა «თავითგან მტკვრისა ხუნანამდე».
მოაოხრეს ველნი. ციხე-ქალაქთაგან მოაოხრეს მხოლოდ კასპი. აქ
მაშინ იყო ვახტანგის დაჲ მირანდუხტ, სამი წლის ყრმა. იგი ტყვედ
წაიყვანეს. წარუტეყვენელად დარჩნენ ხევნი ქართლისა, კახეთი, კლარ-
ჯეთი, ეგრისი. ოსებმა ჩაკლეს რანი და მოვაკანი, მოტყვენვეს ეს ქვეყ-
ნებიც, განვლეს კარი დარუბანდისა, «რამეთუ თვით გზაჲ სცეს და-
რუბანდელთ», და შევიდეს ოსეთს გამარჯვებულნი. და ასრე თარე-
შობდნენ ეს ველურნი 5-ს წელიწადს.

რადგან ეს ჩრდილოეთის ველურნი მტრობდნენ არა მარტო
საქართველოს, არამედ თვით სპარსეთსაც, რადგან აოხრებდნენ მის
კუთვნილ ქვეყნებსაც, ამიტომ ოსეთზე გალაშქრება სასურველი იყო
თვით ყაენისათვისაც. ყაენისა და რანის ერისთავის ნება-დაურთვე-
ლადა და შემწეობის აღმოუჩენელად ვახტანგს არ შეეძლო გადაელა-
ხა კავკასიონის ქედი. ამიტომ უწინარეს ყოვლისა მოციქული წარ-
გზავნა რანს, საცა მაშინ მთავრობდა მისი დედის ძმა ვარაზბაკუ-

16) განგ. ნაწილი II, გვ. 14.

რი, «აუწყა ლაშქრობაᲘ ოვსეთისაᲘ და ითხოვა შეწევნა. მან სიხარულით მიიღო მეფის თხოვნა, «რამეთუ ქვეჟანაᲘ» მისიცა ტყვექმნილ იყო ოვსთაგან, და გამოუგზავნა 12,000 მხედარი. ვახტანგმა შეუარა 100,000 მხედარი და 60,000 ქვეითი ლაშქარი და გასწია დარიალისაკენ. მან შემუსრა ოსნი, გავლო დარიალის კარი, დაამარცხა მრავალი ველური ხალხი, გაიარა აზოვის ზღვამდე, გადმოვიდა აფხაზეთსა და მცხეთას მშვიდობით დაბრუნდა აუარებელის ალაფითა, ტუკითა და თავის დით მირანდუხტით, რომელიც დამარცხებულ ოსებმა მოგვარეს მეფეს.

ეს ძლევამოსილი ლაშქრობა იმოდენად დიდი და მრავალმნიშვნელოვანი იყო, რომ იგი ღრმად ჩანერგილა ერის მეხსიერებაში. აი თვით სმაც მისი გამარჯვებისა:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა:
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა;
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა.

საკვირველი ის არის, რომ, როგორც გადმოგვცემს, ი. ყაზიბეგის-მიერ ჩაწერილი ჩერქეზთა ლეგენდა, ეს დიდი მეფე, თურმე, დღესაც ახსოვთ ჩრდილოეთ კავკასიელებს!

ვახტანგ გორგასალი შორს-მხედველი მეფე იყო. ლაშქრობიდან დაბრუნებისავე უმალ, უწინარეს ყოვლისა, წარსცა ძღვენი იმათ, რომელთა ნებართკითა და შემწეობით მან შემუსრა ძლიერება ოსთა, უიკჩაუთა, პაჭანიგთა, ჯიქთა და სხ.

ყაენის წარმომადგენელს კავკასიაში, რანის ერისთავს ვარაზბაკურს გაუგზავნა: 1000 მონა, 1000 ცხენი სახედარი და 1000 ხრდალი ცხენი.

ყაენს მიართვა: 10,000 მონა, 10,000 ხრდალი ცხენი, 10,000 სახედარი ცხენი. ამ ძღვენის მიმრთმევად ყაენისათვის ვახტანგმა ამოირჩია ზემორე ხსენებული ბინქარ ეპისკოპოსი და თან ყაენისაგან ითხოვა ცოლად მისი ასული ბალენდუხტ.

ყველა ამით, უეჭველია, ვახტანგს სურდა დაემტკიცებინა თვისის უზენაესის მფარველისათვის, რომ იგი ერთგული მონაა სა-

ყაენო ტახტისა და არც სდევნის ცეცხლის მსახურებას, რის საბუთადაც ჩაითვლება ცეცხლის მსახურ ბინქარ ეპისკოპოსის ელჩად წარგზავნა ყაენის წინაშე.

და მართლაც, ყაენმა დიდად დაუმადლა ვახტანგს ერთგულობისათვის და იმისთვისაც, რომ მან ვანის სახელითა და შემწეობით შემუსრა სპარსთა იმპერიის დაუძინებელნი მტერნი – ჩრდილოეთ კავკასიის ველურნი.

ეს ცოტაა კიდევ ვახტანგის ერთგულობა სასიხარულო იყო მითაც, რომ სწორედ ამ დროს ბერძნები აეშალნენ სპარსეთს და აღმოსავლეთში წამით-წამს მოელოდნენ დიდს და საშინელ ამბებს. მამაც ქართველთა მეფის მომხრეობა ყაენს უღვიძებდა იმედებს, რომ მისი მხედრობა გაიმარჯვებდა მცირე აზიაშიაც. ამიტომაც ყაენმა მადლობით მიიღო ძღვენი, ცოლად გამოუგზავნა ბატონიშვილი ბა- ლენდუხტ, რომელსაც მზითვად მოსცა «სომხეთი და ყოველნი მე- ფენი კავკასიანთანი», და ამასთანავე ვახტანგს უბრძანა გალაშქრება წინააღმდეგ კეისრისა.

ყაენისაგან ვახტანგისადმი მოწერილ წიგნში ეწერა: **«ჰურმიზ- დისაგან,** ყოველთა მეფეთა მეფისა, ვახტანგის მიმართ ვარან- ხვასრო-თანგისა, ათთა მეფეთა ახოვანისა»[20]).

ეს ჰურმიზდი არის სპარსთა ყაენი ორმუზდ III, რომელიც თავის ძმასთან ფირუზთან (ფეროზი) ერთად მეფობდა 457 წლი- დან 488 წლამდე. ვახტანგის დროს ორმუზდ მეორე ვერ იქ-

---

[20]) აქ საჭიროდ ვთვლით შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელი „ვახტანგ“ არის შემოკლებული ფორმა ვარან-ხვასრო-თანგი- სა; ამ სიტყვების დასაწყისს ასოებში იკითხება **ვახტანგ** ანუ **ვახთანგ** (**ვარან-ხვასრო-თანგ**). ნამდვილი, ნათლისღების სახელი ამ მეფისა უნდა იყოს გიორგი (მდაბიურად გორგი, რომლისაგან წარმოსდგა ა) გორგისეუ- ლი (გორგასალი, გურგასალი, გოლგასალი) და ბ) გიორგიანი, (გორგერი, გურგენი, კურკენი, ბერძნულად). ჩვენს მეფეებს, რომელთაც ერქვათ გი- ორგი, სპარსელები გურგენს უწოდებდნენ. იგულისხმეთ „გურგენ-ხანი“ (გი- ორგი X) და სხვ.

ნებოდა უაენად, რადგან იგი სელმწიფობდა მეოთსე საუკუნის დასა- წყისში[21]).

მიიღო თუ არა ბრძანება უსენისა, ვახტანგი შეუდგა სალაშ- ქროდ მზადებას. მაშინ იგი იყო 22 წლისა. მაშასადამე, ეს იყო 494 წელს (472+22). ვახტანგმა გასცა ბრძანება და საომრად მო- იწვია კავკასიის მეფეები. მოვიდნენ მეფეები დარუბანდისა, მოვა- კანისა ბორზო, ლეკთა მეფე იპაჯაჯ და სს. შეიარა ლაშქარი 200,000 კაცი და დადგა მტკვრის იმიერ და ამიერ. ყაენის ბრძა- ნებით მოვიდა აგრეთვე ვახტანგის დედის ძმა ვარაზბაკური, ერის- თავი რანისა და მოიუყვანა 200,000 მხედარი. ადარბადაგანიდან, რა- ნიდანა და მოვაკნიდან.

ამასობაში გავიდა სუთი წელიწადი. მირიანს აქეთ გასული- ყო 157 წელიწადი (342+157=499 წ.). შემდეგ ამისა ვახტან- გი წაუძღვა ამ დიდძალი ლაშქარს და შევიდა სომხეთს, პეროჟკა- ფარს მოერთნენ სომხეთის ლაშქრით ერისთავნი: სიკნელი არევ, ასფორაგნელი ჯვანშერ, ტაროკნელი ამზასპ და თრდატ. ალეა შე- მოარტყეს კარახპოლს (კარნუ-ქალაქს, არზრუმს). სპარს-ქართველ- კავკასიელთა ლაშქარმა თავზარი დასცა ბერძნებს და, რომ მეტის- მეტად გაჭირდა საქმე, ბერძნებმა, როგორც ამბობს ქართლის ცხოვ- რება, საიდუმლოდ მიიბირეს ვახტანგი. ელჩი კეისრისა ეუბნებოდა ვახტანგს: «ბერძენნი ნათესავნი ღვთისანი არიან აღთქმისა მის-

---

[21]) **ყაენები სასანიდთა გვარისა:** არდაშირ-ბაბეკენ-სასანი (ართაქსერქსი) (226–240), შაბურ (საფორ) (240-271), ორმუზდ I (271–272), ბაჰრან I (ვარან) (272–276), ვარან II (ბარამ) (276–293), ვარან III (293–294), ნარსეს 294–303), ორმუზდ II (303–309), შაბურ II დიდი (309–380, არდაშირ II (380–383), შაბურ III (383–388), ბაჰრან IV (ვარან, ბარამ, ქირმანშაჰ) 388–399), იეზდიგერდ I (იეზდედშირდ) (899–419), ბაჰრანგურ V (ვარან, ბარამ) (420–440), იეზდიგერდ II (ვარან VI) (440–457) ორმუზდ III და მისი ძმა ფირუზი (ფეროზი) (457–488), ბალატ (ბალაშ, ვაღარშ, ვალენტ) (488–491), კობად I (კობად, ძე ფირუზისა) (491–531), ხოსრო I ანუშირვან დიდი (531 13 ენკენი–579 თებერ.), ორმუზდ IV (679–591), ხოსრო II (591–628), შირუეს (სიროეს), არდაშირ III, ბარამი, იეზდიგერდ III (+ 649 წ.). ამ წელს არაბებმა მოსპეს სასანიდთა დინასტია.

თვის, რაჟამს უწოდა მათ შვილად ღვთისა და მოსცა მათ ბეჭედი, რომლითა შეჰმუსრა ჯოჯოხეთი და არს იგი ჯვარი. შენ მიერ აღგზნებული ცეცხლი შენვე დაშრიტე და მეგობარ იყავ კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა (ქცხ., გვ. 125). ამასთანავე კეისარმა გამოუგზავნა მეფეს ჯვარი, სამეფო გვირგვინი და შესამოსელი და აღუთქვა, რომ დაგიბრუნებ თუხარისის ციხეს (ჭოროხზეა) და ქართლის საზღვრებსო (ქცს. გვ. 128–129).

ვახტანგსა და კეისარს შორის მოლაპარაკება სწარმოებდა დიდის სიფრთხილით, რადგან შიშობდნენ, ყენმა არ შეგვიტყოსო. ხოლო უსენი უკვე თვით მოდიოდა საბრძოლველად. მოლაპარაკებაში ვახტანგის მხრივ მონაწილეობას იღებდა მისი მამამძუძის სპასპეტის საურმაგის ძმა კარაზმირი, სოლო კეისრის მხრივ მღვდელი პეტრე და მონაზონი სამოელ. კეისარი რომ პონტო ქალაქს გამოკიდა, ვახტანგის მოციქულებმა მიართვეს მას 1000 მუტკალი მუშ- 500 მარი 1000 ლიტრა ალვაჲ.

თუმცა ყოველივე ეს დიდის საიდუმლოებით მოცული იყო, გარნა რანის ერისთავმა შეიტყო მეფის ღალატი, მიიჭრა მის წინაშე და უთხრა: «ჰ, გველო და ნათესაო ასპიტისაო! შენი მამის დედაჲ ბერძენი იყო და გძლო შენ დედის ბუნებამან შენმან, ჯვარცმულისა და მომკვდარი კაცის სიყვარული გი-პყრია და გნებავს შეყენება ჩვენი ხელთა ბერძენთასა».

ვახტანგმა მხოლოდ უთხრა: აჰა, შენ და ბერძენნი. იხილავ მომკვდარი კაცის ძალსაცა და ცეცხლისასაც, რომელსა შენ ესავ».

დააყვირეს საყვირები. ვახტანგი ქართველებითურთ განზე დადგა. სპარს-ბერძენთა შორის ასტყდა საშინელი ბრძოლა ბერძნებმა მოკლეს 27,000 სპარსი, მოკლეს აგრეთვე რანის ერისთავი ვარაზბაკური (ვახტანგის დედის ძმა), ლეკთა მეფე იპაჯაჯი, მოვაკნის მეფე ბორზო. მეორე შეტაკებაში მოიკლა 43,000 ვახტანგისმიერ წაყვანილ ლაშქართაგან და 72,000 ბერძენი. და აქვე მოკლულ იქმნა კეისრის სპასპეტი პალეკარტოს ლოღოთელი[22])

---

[22]) შეადარე ბერძნების დაგისთეის, მათის ჯარის სეასალარს.

ამის შემდეგ მეფე ვახტანგმა გაანთავისუფლა 780,000 ტყვე-ბერძენი, კეისრის წინაშე გაგზავნა ერისთავი წუნდისა ნასარ და სამშვილდისა ადარნასე და ითხოვა ცოლად მისი ასული ელენე. კეისრად მაშინ იყო ანასტასი, რომელმაც თვისი ასული დაწინდა ვახტანგზე და მეფეს დაუბრუნა ციხე თუხარისისა, კლარჯეთი შავი ზღვიდან არსიან-მთამდე და ეგრისის წელამდე.

ასრეა ქართლის ცხოვრებით. ამაზე უკეთესს დროს ვახტანგი ვერ მოიხელებდა, რომ ჯავრი ამოეყარა სპარსელებისა, რომელთა მეოხებით ქართველთა მეფენი უკიდურესად დამცირებულ იუვნენ და ქართველთა ეკკლესიაც ოდნავ-ღა ბჟუტავდა, შევიწროებული და შეგინებული ცეცხლმსახურთაგან.

გიბბონის ისტორია [23]) ამ ამბებს მოკლედ გადმოგვცემს. ანასტასი კეისრის სიძუნწემ განხეთქილება ჩამოაგდო სპარსთა და ბერძენთ შორის. ყაენს მიემხრნენ ჰუნნი და არაბნი. მტრები შეიბნენ მცირე აზიაში. იბრძოლეს სამი თვე და ამ სამს თვეში კობად ყაენმა დაკარგა 50,000 მეომარი. ომი გაგრძელდა სამს წელიწადს. ყაენი გარს შემორტყმოდა ქალაქ ამიდას და ვერას გზით ვერ იღებდა მას ყაენი ბრაზით იხრჩობოდა. ქალაქის დედაკაცნი ციხის თავზე გადმოდგებოდნენ ხოლმე, დასცინოდნენ სპარსელებს და თავიანთ სასირცხოებს აჩვენებდნენ. ბოლოს ყაენმა შემუსრა ამიდა და ამოხოცა მისი 80,000 მცხოვრები. ანასტასიმ მშვიდობა ითხოვა. ძლევამოსილი ყაენი შევიდა კავკასიაში და გაამაგრა ივერიისა, ალბანიისა და დარუბანდის კარები. ყოველივე ესე იყო 502–505 წლებში.

ეს ასრეც უნდა მომხდარიყო. ძლიერი ყაენი ვერ აპატივებდა ვახტანგს, რომ მან უღალატა თვისს უზენაესს მბრძანებელსა და ცეცხლის მსახურებას.

გარნა ვახტანგი, რომელმაც გვირგვინი მიიღო კეისრისაგან, სასოებდა, გაჭირების დროს იმპერატორი შემეწევაო. ამიტომ ბრძოლის ველიდან რომ დაბრუნდა, «შეიპყრო ბინქარ მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა და მოსრნა და განასხნა ყო-

[23]) Эдуард Гиббонъ. Исторія упадка и разрушенія Римской имперіи, ნაწილი IV, გვ. 367–372.

ველნი ცეცხლის მსახურნი საზღვართაგან ქართლისა. სახლი ცეცხლისა დაავსო. ფსლითა, მოგვნი და ვაზირნი მისცა სატანჯველსა ბოროტსა» (ქცს., გვ. 133). ასრეთი სისასტიკე ვასტანგისა ყაენს აცნობა იმავე ბინქარ ეპისკოპოსმა, რომელმაც მოახერხა საპყრობილედან გაქცევა. მან ფესზე დააყენა მთელი სპარსობა და ქართლს წამოიყვანა, გარნა თვითონ ბინქარი საქართველოს საზღვარზე მოკვდა.

სპარსთა მოსვლამდე ვახტანგმა აფრინა მოციქული საბერძნეთს და შემწეობა ითხოვა. გარნა ამ დროს თვით კეისარს მეტად უჭირ-

და. ჩრდილოეთის ველურნი კარს მოსდგომოდნენ. მარტოდ დარ-
ჩენილი ვახტანგ შეიკეტა მცხეთაში და გაამაგრა დიღომ-არმაზი.
სპარსნი მოვიდნენ და დაიბანაკეს ცხენის ტერფიდან ჩაღმართ».
აქა-იქ ერთმანეთს შეეტაკნენ. სპარსნი არმაზს რომ შეებრძოლებო-
დნენ, მცხეთით ეშველებოდნენ; მცხეთას რომ შეებრძოლებოდნენ,
არაგვზედ უსკდებოდნენ; მტკვრის ფონზედ გამოსვლას რომ დააპი-
რებდნენ, «შეებნიან ფონსა ზედა ტფილისისასა, და ხან იმარჯვებ-
დნენ სპარსნი და ხან ქართველნი. სპარსნი წრომამდის მივიდნენ,
შეიპყრეს რაჟდენი და, ქრისტიანობის მიღებისათვის, აწამეს. იგი
დასაფლავებულ იქმნა ნიქოზს.

ამასობაში მოვიდა ამბავი, რომ ბერძენთა მეშველი ჯარი მო-
დისო, ჯავახეთს მოაწიაო. ყაენმა მოციქულის პირით შეუთვალა
კასტანგს: «რად ვწყვეტთ ერთმანეთს. ჩვენ ძმანი ვართ და ნებ-
როთის შვილნი. უკეთუ ცეცხლი არს ღმერთი, იგი შეგვეწევა.
თვითეული ჩვენგანი მსახურებდეს სათნოსა სულისა თვისისა».
ვახტანგი იძულებულ იქმნა შერიგებოდა ყაენს, რომელმაც მეფეს
მისცა გვირგვინი ანთრაკოკანი და დიდი ძღვენი მიართვა. ვახტანგი
მიეგება ყაენს გალის ველზედ და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ
გადასწყვიტეს «თავის თავისა სჯულსა ზედა გარდაუვალა ყოფა.
სოფელი ტფილისი და კალა თუმცა მოოხრებულ იყო, მაინც ამ
სოფელში ვახტანგმა მიიწვია ყაენი და უძღვნა მას: 1,000 მხეკა-
ლი, 500 მონა, 500 სტარჲ საკრმანგი, 500 ბიზიონი რუზ-
მა, 10,000 ხრდალი ცხენი, 500 ბარგის ცხენი, 300 ჯორი, 400
ძროხა, 10,000 ცხვარი.

II

აქვე იყო კეისრის მოციქული ლეონ. საბერძნეთის «სპანი ყო-
ველნი საზარეთს» იყვნენო და «ბერძენთ ეშინოდათ, რომ სპარსნი
საბერძნეთს არ შესულიყვნენო» და ამიტომ ლეონმა ითხოვა ყაენი
შერიგებოდა კეისარს. ყაენი დათანხმდა [24]), ასურეთი და შუამდინა-
რის ნახევარი თავისთვის აიღო და შავი ზღვის აქეთი მსარე ვახ-
ტანგისათვის მოითხოვა. ამნაირად სპარსეთსა და საბერძნეთს შო-
რის ისევ დაიდო ის მიჯნა, რომელიც განსაზღვრულ იყო 365
წლის ხელშეკრულობით, შაბურისა და იოკიანს (იბიმიანოზს) შო-
რის (ქცხ., 136).

ყაენმა ამის შემდეგ გაგზავნა თვისი მოხელენი ბარზაბანი და
მობიდან მისაღებად ქვეყანათა და ქალაქთა, რომელნიც ერგო სპარ-
სეთსა და ვახტანგს. და თვით ვახტანგისაგან მოითხოვა ცოლად
მისი დაჲ მირანდუხტ და აგრეთვე დაავალა მეფეს წაჰყოლოდა სპარ-
სეთს, საცა აშლოდნენ მტერნი.

ამგვარად საქართველო კვლავ სპარსეთის სულში ჩავარდა. მეო-
რედ თავის სიცოცხლეში ვახტანგმა ყაენს მიართო ხარკი არა თუ
მარტო საქონლითა და ძვირფასეულით, არამედ მონა-მხევლებითაც.
ჰეროდოტეს სიტყვით[25]), ყაენები ქართველებს ყოველ ხუთ წელი-
წადში ერთხელ ართმევდნენ 100 მონას–ჭაბუკსა და 100 ახალ-
გაზდა მხევალს. ახლა უტენმა ვახტანგს გამოართო პირველად 10,000
მონაჲ, ხოლო მეორედ 1000 მხევალი და 500 მონა.

მეფე ვახტანგმა ყაენის ბრძანება აასრულა. 5 წლის დაჩი მეფედ გამოაცხადა, ჩააბარა იგი შვიდს ერისთავს და თვითონ წავიდა სპარსეთს. ეს შვიდნი კაცნი, რომელთაც ჩაბარდა საქართველოს დროებითი გამგეობა, იყვნენ: სპასპეტი ჯუანშერ, მპყრო-

---

[24]) ტფილისის ხელშეკრულობად უნდა იგულისხმებოდეს იგივე ზავი, რომელიც დაიდო კობადსა და ანასტასის შორის 505 წელს (იხ. ზემოდ გიბბონის ცნობები), რადგან ამ წელიწადს ყაენი შემოვიდა ივერიას და გაამაგრა დარუბანდისა, ალბანიისა და ივერიის კარები. ქართლის ცხოვრების მოთხრობითაც, ყაენის გამოლაშქრება საქართველოზე ზედ მოჰყვა საბერძნეთის ლაშქრობას. და სპარსთა შემოსევა იყო არა 505 წელს, როგორც ამბობს გიბონი, არამედ 504 წელს (იხ. ზემოთ ქორონიკონები).

[25]) განი, I, გვ. 16.

ბელი შიდა-ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა; დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა; გრიგოლი, ერისთაკი ჰერეთისა; ნერსარან, ერისთაკი სუნანისა; ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა; სამანღირ, ერისთავი შიდა-ეგრისისა და სვანეთისა; ბაკურ, ერისთავი მარგუისა და თავკვერისა.

მეფემ თან წაიყვანა სპარსეთს: არტვაზი, ერისთავი კლარჯეთისა, ნასარ, ერისთავი წუნდისა, ბივრიტიანი, ერისთავი ოძრხისა და საურმაგი, მეფის დიდი ეჯიბი [26]).

უცხოეთში დაჰყო ვახტანგმა რვა წელიწადს და სამშობლოში რომ დაბრუნდა, განიძრახა იგი განეთავისუფლებინა სპარსთა მძლავრებისაგან და მიმხრობოდა კეისარს. ამ საქმის განხორციელებას იგი გზაშივე შეუდგა. როდესაც სომხეთ-საბერძნეთის საზღვარს მოაწია, იმპერატორს გაუგზავნა მოციქული და ითხოვა კათალიკოზადა პეტრე მღვდელი და ეპისკოპოსად სამოელ მონაზონი. ხოლო მცხეთას რომ მოვიდა, კვლავ გაგზავნა დესპანი და იმეპერატორს შეუთვალა: კათალიკოზი და 12-ნი ეპისკოპოსნი სწრაფად წარმოგზავნე და მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოზად და სამოელ ეპისკოპოსად (ქცს., გკ. 145).

ამასთანავე ვახტანგმა მოითხოვა გამოეგზავნათ მისი საცოლე ელენე [27]), რომელზედაც დაწინდული იყო იმავე წელიწადს, როდესაც მოუკვდა პირველი ცოლი ბალენდუხტ, ასული ყაენისა და დედა დაჩის..

---

[26]) აქ მოხსენებულ პირთაგან ზოგი მონათესავე ანუ თანაშეზრდილი იყო ვახტანგისა. ვახტანგის მამამძუძედ (აღმზრდელად) იყო სპასპეტი საურმაგ, რომელიც მოკვდა ოსეთზე გალაშქრების წინად. მისი ადგილი დაიჭირა მისმა ძემ ჯუანშერმა, რომლის ძმა იყო არტვაზი, ერისთავი კლარჯეთისა და ძუძუსმტე ვახტანგ მეფისა. საურმაგ სპასპეტის ძმა იყო ვარაზმირ და საურმაგ ეჯიბი იყო ამის შვილი. ბივრიტიანი იყო სეფე-წული (ქცხ., გვ. 110, 113, 119, 129, 140).

[27]) ქცხ., გვ. 132, 133, 145. ვახუშტის სიტყვით (ისტორია, გვ. 95, შენ. 1), ელენე იყო ასული ლეონისა; გარნა ამ იმპერატორს ელენედ წოდებული ქალიშვილი არა ჰყვანდა. მისი ქალები არიადნა და ლეონტია გათხოვილნი იყვნენ სხვა კაცებზე; არიადნა ცოლად ჰყვანდა იმპერატორ ანასტასის.

ვახტანგის თხოვნას საბერძნეთში დიდის სიხარულით მიიღებ-
დნენ, რადგან ამ თხოვნის აღსრულებით იმპერიას უსრულდებოდა
მისი დიდი ხნის წადილი: აღდგენა და გავრცელება კეისრის უზე-
ნაეს ხელმწიფებისა ივერიასა და კავკასიაზედ. და ამ უფლების აღ-
სადგენად უმთავრეს იარაღს იძლეოდა თვით ვახტანგ მეფე: იგი
უარსჰყოფდა ყაენს, უნათესავდებოდა იმპერატორს და იმპერატორს-
კე უთმობდა აფხაზეთს. ყველა ამის მაგიერ იმპერატორისაგან მე-
ფე ითხოვდა მხოლოდ ეკკლესიის მოთავეს, ე. ი. კათალიკოზს. და
ამ თხოვნის ასრულება იმპერატორისაგან მით უმეტეს ადვილი იყო,
რომ კათალიკოზი უნდა ყოფილიყო ბერძენივე და, ამასთანავე, ან-
ტიოქიის პატრიარქის ხელქვეითი (ქცს., 145).

და მართლაც, იმპერატორმა დიდის სისწრაფით გამოუგზავნა
მეფეს კათალიკოზიცა და ეპისკოპოსნიც და აგრეთვე ცოლად ბა-
ტონიშვილი ელენე. ამას გარდა ვახტანგისათვის იმპერატორმა გა-
იმეტა მცირე ქვეყანაც: ელენეს მზითვად მისცა ეგრისწყალსა და კლი-
სურას შუა მდებარე კუთხე.

ეს იყო (ის. ზემოდ) ქართლის მოქცევიდან (მირიანისითგან) რო
(170) წელსა, ე. ი. 512 წელს (342 +170).

პეტრე კათალიკოზსა და სამოელ მონაზონს და, ალბად, და-
ნარჩენ თერთმეტ ეპისკოპოსთაც მეფე ვახტანგი იცნობდა 499 წლი-
დანვე.

ვახტანგმა საბერძნეთს რომ გაილაშქრა 499 წელს (ის. ზე-
მოდ), მაშინ მცირე აზიაში გაიცნო მღვდელი პეტრე და სამოელ
მონაზონი. ამათთან მეფეს ჰქონდა გრძელი საუბარი შესახებ საეკ-
კლესიო საქმეებისა, და იქვე გადასწყდა კითხვა, რომ საქართველოს
ეკკლესიას მიენიჭოს კათალიკოსობა და პირველ კათალიკოზად და-
ინიშნოს ეს პეტრე მღვდელი (ქცს., გვ. 124–128). გარნა მაშინ
«მეფემ ვერ მოიცალა მოყვანებად კათალიკოზისა და ეპისკო-
პოსთა, რამეთუ მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოსვლასა, ამა-
გრებდა ციხე-ქალაქთა» (ქცხ., გვ. 133).

ეს 499 წელი ახლოა იმ დროსთან, როდესაც ანტიოქიის პა-
ტრიარქად იყო პეტრე კნათე, რომელმაც, როგორც ფიქრობს
ბროსსე, საქართველოს ეკკლესიას მიანიჭა კათალიკოსობა. «იტყვია-

ნო, – ამბობს ბალსამონი, – რომ უწმიდესის ანტიოქიის პატრიარ-
ქას პეტრეს დროს მოხდა კრების განჩინება, რომელმაც დაასკვნაო,
რომ ივერიის ეკკლესიას მიენიჭოს თავისუფლება და თვითგამგეო-
ბა ანტიოქიის პატრიარქის მოძღვრების ხელ-ქვეშე».

451 წელს მოხდა სალკიდონის კრება. ამ კრების დადგენი-
ლებამ დიდი განხეთქილება ჩამოაგდო ეკკლესიებს შორის და დაჰ-
ბადა მწვალებლობა მონოფიზიტთა» (ერთბუნებოვანთა). სომხის ეკ-
კლესიაც ამ უკანასკნელ სწავლას მიემხრო. თვით კოსტანტინე-
პოლსა, ანტიოქიასა და სხვაგან ერთს აზრზედ არ იდგნენ. სარ-
წმუნოებრიკმა უთანხმოებამ ბევრი სისხლი დასთხია ანტიოქიასა და
კოსტანტინეპოლშიაც. პატრიარქებს მწვალებლობას სწამებდნენ და

ამხობდნენ. 471 წლიდან 488 წლამდე ანტიოქიის პატრიარქი პეტ-
რე კნათე სამგზის დასვეს პატრიარქად და სამგზისვე დაამხეს [28]).
თვით კოსტანტინეპოლის ეკკლესია ორად გაიყო. მონოფიზიტნი
სასტიკად ებრძოდნენ მართლმადიდებელთ. ამ უკანასკნელთა მტერნი
გეისარს ანასტასის (491–518 წ.) არიოზის მომხრეობას სწამებ-
დნენ. 511–512 წ. მრავალგან დაიღვარა ქრისტეანეთა სისხლი.
იბრძოდნენ ერთსა და იმავე ეკკლესიაში. ერთხელ თვით მეფესაც
შეურაცხება მიაყენეს «სამწმიდაო ღმერთოის საგალობელის თქმით.
სარწმუნოებრივ კითხვებს გარდა ამ დროს ბიზანტიას თავ-
ზარს სცემდა დანაბზედ[29]) გადმომდგარი ჭონთა ხელმწიფე. მეოთხე
საუკუნის გასულს ქონთა ურდოები გაიჭიმა ვოლგიდან დანაბამდე.
კეისარმა მათი მოთავე დააშოშმინა ხარკის ძლევით (433 წ.). მა-

---

[28]) ამ პეტრე კნათემ სისრულე მისცა „სამწმიდა ღმერთოის“ საგა-
ლობელს. სიტყვებს „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვ-
დაო“-ს პეტრე კნათემ მიუმატა: „რომელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის“. ამას
კოლადიონმა მიუმატა: „უფალი ჩვენი იესო ქრისტე“. პეტრემ ეს უკანას-
კნელი მინამატი უარჰყო (რობერტსონ, I, 479). წმ. ეფთვიმე მთარგმნე-
ლი ამბობს (ეკკლ. მუზ. ხელნაწ. No 96, გვ. 92): „სომხებმა „წმიდაო
ღმერთოის“ გალობას დაურთეს „წმიდაო უკვდაო, რომელი ჯუარს ეცვ
ჩვენთვის, შეგვიწყალენ ჩვენ“. ეს მწვალებლობააო, რადგან მეოთხე პირი
შემოაქვსო“.

[29]) გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ სვინაქსარში დანაბი სა-
ხელია მდინარე დუნაიასი.

ლე ქონების მოთავედ შეიქნა ატტილა ღვთის ცეცხლი. მან დაი-
მორჩილა უმეტესი ნაწილი გერმანელთა, სკვითთა და ხაზართა. ჰონ-
დიდ ძალი ლაშქარი 441–442 წლებში შემოესია საქართვე-
ლოსა და სომხეთს, შევიდა ასურეთში და თავზარი დასცა ანტიო-
ქიას. აქედან მათ წაიღეს. დიდ ძალი ალაფი და წარსდგნენ ატტი-
ლას წინაშე. 447 წელს ატტილა შეება კეისარს, რომელმაც მშვი-
დობა იყიდა 2100 გირვანქა ოქროთი [80]).

აი ეს ონნი მოსვენებას არ აძლევდნენ ბიზანტიის იმპერა-
ტორს. მათ მალე დაიპყრეს მთელი იტალია და თვისი საზღვრები
დაუახლოვეს კოსტანტინეპოლს.

ამგვარ გასაჭირ დროს კოსტანტინეპოლს მივიდნენ ვახტანგ მეფის
მოციქულნი. რაღა თქმა უნდა, ვახტანგის მომხრეობა (ეკკლე-
სიური და პოლიტიკური) სწორედ ზედმიწევნა იყო გაჭირებულ იმ-
პერიისათვის, რომელსაც ამასთანავე შიში ჰქონდა ყაენის მხრივაც.

და ამიტომაც კეისარმა ვახტანგის მიერ ამორჩეული პეტრე
მღვდელი და სამოელ მონაზონი წარგზავნა ანტიოქიას და იქაურ
პატრიარქს მისწერა: «ესენი აკურთხე ერთი კათალიკოზად სა-
ქართველოისა და მეორე ეპისკოპოსად, ამათ გარდა კიდევ ამო-
ირჩიე თერთმეტი სამღვდელო კაცი და იგინიც ეპისკოპოსად
აკურთხეო და მერე ჩვენ წინაშე წარმოგზავნე, და ჩვენ კი საქარ-
თველოში გავისტუმრებთო».

პატრიარქმა შეასრულა კეისრის ბრძანება. სამღვდელოება მო-
კიდა მცხეთას. ვახტანგმა იგინი დიდის დიდებით მიიღო. პეტრე დასვა

კათალიკოსად, სამოელი სამთავრელად (მცხეთის ზემო ტაძარში), ხოლო დანაშთენთაგან თითო-თითო განაწესა: ახიზს (კლარჯეთს), არ-ტანს (ერუშეთს), წუნდას (ჯავახეთს), მანგლისს, ბოლნისს, რუს-თავს, ნინოწმინდას, ჭერამს, ხორნაბუჯს (ქიზიყის ბოლოს), აგა-რაკს (სომხითში) და შემდეგში ერთიც ნიქოზს (ქცს. 146).

ყაენი ასრეთ საქციელს არ მოუწონებდა ვახტანგს, ბერძენთა ეპისკოპოსებისაგან საქართველოს ეკკლესიის გავსებას ვერ მოით-მენდა სპარსეთის ძლიერი ხელმწიფე. ამიტომაც იგი უბრძანებს

---

[30]) გეორგ ვებერ. IV, 665.

ვახტანგს, კვლავ აღადგინოს საქართველოში წესი სპარსთა სარ-წმუნოებისა, მკვდრების დამარხვა აღკრძალოს და გადაცვალებულთა გვამები ფრინველთა და ძაღლო შეაჭამოს [31]). გარნა კობადის ბრძა-ნებას არ ემორჩილება მეფე და იმპერატორისაგან შემწეობას ით-ხოვს. იმპერატორი ელჩს გზავნის ქერსოვნეთს [32]) (ბოსფორში) ჰონ-თა გამოსუკანად და საშველად ქართველთა ელჩი გერას არიგებს. იმპერატორი ლაზიკაში გზავნის პეტრე სპასალარს გურგენისათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ყაენი გურგენის წინააღმდეგ გზავნის ვა-რიცა-ბაოს [33]) გურგენი მიდის ლაზიკაში დიდებულებითა, ძმებითა, დებითა, ცოლითა და შვილებით, რომელთაგან ყველაზედ უფროსი იყო პერანი [34]). იქ მაგრდება მეფე და სპარსნი ვერას აკლებენ. აქე-დან ქართველნი მიდიან ბიზანტიას. ყოველივე ეს მოხდა 521–527 წლებში [35]).

ქართლის ცხოვრებაში მეფე ვახტანგის მოგზაურობა სახლო-ბითურთ მოთხრობილია სხვა ადგილას (გვ. 136–138), ყაენის ბრძანებით [36]) ვახტანგი იძულებულ იქმნა წასულიყო ანტიოქიას, საცა მას ელოდა სპარსთა ხელმწიფე. ვახტანგმა თან წაიყვანა სამი ერისთავი და ერთი ეჯიბი, 10,000 მეომარი, თვისი ცოლი და დე-

---

[31]) გან. წიგნი II. გვ. 16.

[32]) სვინაქსარში, ქერსოვნეთი სახელია ბერძნების ხერსონისისა.

[33]) გან. II, გვ. 16.

[34]) ვახტანგ გორგასალს ბალენდუხტისაგან ჰყვანდა დაჩი, რომლის მარჩბივად შობიარობაზე დედა გარდაიცვალა. ელენესაგან ჰყვანდა „სამ ძე და ორ ასულ“. ამ სამ ძეთაგან ერთს ერქვა ლეონ და მეორეს მირდატ. მესამის სახელი არა სჩანს. იგი უნდა მომკვდარიყოს ვახტანგის სიკვდილის წინად (ქცხ., 149). ვახტანგს არც ძმები ჰყვანდა, გარნა ვახტანგისავე დროს იყვნენ მიჰრანი და გრიგოლ. ესენი იყვნენ მირიანის ძის რევის შთა-მომავალნი და ვახტანგი კი მირიანის ძის ბაქარისა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ვახტანგი მირიანსა და გრიგოლს ძმებად ხადოდეს, მით უმეტეს, რომ ერთ დროს ეს მირიანი თავის მემკვიდრედ გამოაცხადა (ქცხ., 121). თუ „პერანი“ (გან. II, 4, 16) ვახტანგის ძმა იყო, იგი იქნებოდა ეს მირანი, თუ ძე, ვახტანგის უფროსი შვილი ელენესაგან (ქცხ., 149).

[35]) გან. II, გვ. 15–16.

[36]) ეს ბრძანება მოიტანა ყაენის სპასალარმა ბარზაბან (შეადარე ზეთ მორე ხსენებულს ვარიცა-ბოას).

ბი. აქ ისინი დიდ სანს დარჩნენ. მოილოცეს იერუსალიმი და სამ-
შობლოში დაბრუნდნენ რვა წლის შემდეგ. თვისის გამგზავრების
წინად კეისრის წინაშე ვახტანგმა გაგზავნა დესპანად «კლარჯეთისა
თავი» ერისთავი არტვაზ დიდის ძღვენით.

სწორედ ამ ხანს (527 წ.),მსოფლიო ისტორიის მოწმობით [87]),
ლაზთა მეფის ზამნაქსის შვილი ჭათი წავიდა კოსტანტინეპოლს
და კეისრის ისტკინეს მფარველობა და მამის ტახტზე დამტკიცება
ითხოვა: არა მსურს ყაენმა დამიმტკიცოს ტახტი, რადგან ამ შემ-
თხვევაში იძულებული ვიქნები აღვიარო მისი სარწმუნოებაო. ჭათმა
ქრისტიანობა მიიღო. ისტკინემ გამოაცსადა იგი ლაზთა მეფედ და
დააგვირგვინა. ცოლად მან შეირთო უალერიანე, შვილის შვილი პატრი-
ვის და კუროპალატის ონინისა. შემდეგ იგი დაბრუნდა სამშობლოში.
მას ეხურა რომაული გვირგვინი, ეცვა თეთრი ქლამიდი წითელი აბრე-
შუმისა. პორფირის მაგიერ ჰქონდა ხელმწიფური ოქროს ფიცარი,
რომელზედაც ლურჯის ფერადით გამოყვანილი იყო ისტკინეს
სახე. მასვე ბოძებული ჰქონდა კერული კკართი (stixaris), ოქრო და
ბეწვი მოკლებული, ისტკინეს სახით, წაღები, თვისის ქვეყნის წე-
სისამებრ, წითელი ფერისა ჰქონდა და შემკული იყო მარგალიტე-
ბით. მარგალიტებითვე შემკული იყო მისი სარტყელი. კეისრისა-
გან მან და მისმა ცოლმა მიიღეს მრავალი ძვირფასი საჩუქრები.

კობადმა ეს რომ შეიტყო, ისტვინეს შეუთვალა: «ჩვენ შორის
თუმცა მეგობრობა და ზავია, შენ მაინც მმტრობ მე. მაგალითებრ, ლაზ-
თა მეფეს, ჩემს ქვეშევრდომს, შენ მოსავ მეფურად, და იგი კი
არასოდეს რომაელთა ქვეშევრდომი არ ყოფილა, არამედ მუდამ სპარს-
თა უფლების ქვეშე».

კეისარმა უპასუხა: შენი ქვეშევრდომთაგანი ჩვენ არავინ მი-
გვიღია და არც მოგვიწვევია. გარნა ჩვენს ქვეყნაში მოვიდა ვიღაც
ჭათი, მუხლის წინ დაგვივარდა და შემოგვეხვეწა გვეხსნა იგი წარ-
მართთა უწმინდურ რჯულისაგან, უღვთო. მსხვერპლმსახურებისაგან
და ბოროტ სულთა ქენჯნისაგან. და ნება მივეცით მას მიეღო ქრის-
ტიანობა, რადგან გვევედრებოდა სახელითა საუკუნოისა და ზენა-

[37]) გან. II, 69–73.

რისა ღვთისათა და შემოქმედისა ყოვლისა ქვეყნისა. და რადგან მას
სურდა უკეთესი სარწმუნოება აღერჩია და ერწმუნა ჭეშმარიტი ღმერ-
თი, ამიტომ მისთვის დაშლა არ შეიძლებოდა. მოვაქციეთ რა იგი
საქრისტიანო რჯულზედ და ღირს ვყავით ღვთიურ საიდუმლოთა,
სამშობლოშივე დავაბრუნეთ».

ამის შემდეგ კეისრის ლაშქარს ლაზიკაში ყოფნა გაუჭირდა.
ლაზნი სანოვაგეს არ აწვდიდნენ რომაელებს. ამიტომაც მათ დატო-
ვეს ლაზიკა. სპარსით დაიჭირეს მისი სიმაგრეები და 528 წელს
ომი გამოუცხადეს ჭათის. ამან შემწეობა ითხოვა კეისრისაგან. რო-
მაელნი შემოვიდნენ ლაზიკაში. მათი სპასალარები იყვნენ კელისა-
რი, კერიკა და ირინე (პენდატის ძე). სპარსთ სძლიეს. კეისარმა

ახლა გამოგზავნა სპასალარი პეტრე, რომელიც ლაზებთან ერთად დაეცა სპარსელებს და მრავალი მათგანი ამოხოცა.

ქართლის ცხოვრებით, ვახტანგის დროს შიდა-ეგრისისა და სვანეთის ერისთავად იყო სამანღირ, რომელიც უნდა იყოს ზემო-რე სსენებული ზმნაქს, ხოლო არტვაზ ერისთავი, თავი კლარჯე-თისა», რომელიც ვახტანგმა გაგზავნა კოსტანტინეპოლს, ალბად, იყო სამანღირის შვილი თათი [38]).

ბერძენ-რომაელნი ძველ დროიდანვე ლაზიკა-კოლხიდას თავი-სად სთვლიდნენ და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მათ აქ მეფედ დაესვათ ჭათი, რომელსაც საქართველოს კანონიერი მეფე ერისთავად უწოდებდა.

ამის შემდეგ გადის რამდენიმე წელიწადი. კობად ყაენს უჯან-უდებიან მისნი ქვეშევრდომნი. მოთავედ აჯანყებულთა არის მაზდა-კი, რომელიც ქადაგებს, რომ ცოლნი საერთონი უნდა იყვნენო. კობადი ამარცხებს მტრებს, ტახტს ისევ იბრუნებს და მემკვიდრედ აცხადებს თავის მესამე შვილს ხოსრო ნუშირვანს («მართლმოყვა-რეს»). ამასთანავე ყაენი სთხოვს ისტკინე იმპერატორს (520 წ.) შვილად აიყვანოს ეს ხოსრო. ხოსრო მიდის საბერძნეთს, გარნა გზაზე იტყობს, რომ ისტვინე წინააღმდეგია მისის შვილობილო-

---

[88]) tzathios, tzathes. რადგან აჭარას ბერძნულად სწერენ Atzara-დ, ამიტომ tzathios (tzathes) უნდა იყოს ჭათი, ჭათე ან ჭატი.

ბისა. ხოსრო. ბრუნდება ფრიად ნაწუენი. კობადი კვდება (531 წ.) და ტახტზე ჯდება სოსრო 39) (531 წ.).

კობად ყაენს რომ სიცოცხლე გამწარებული ჰქონდა თავის ქვე-შევრდომთაგან, ამას ქართლის ცხოვრებაც აღნიშნავს მოკლედ. ვახ-ტანგს რომ ინდოეთში საბრძოლველად იწვევდა, ეუბნებოდა: «საქმე-სა ამას≤ ჩემსა (ზავი რომ დასდო ბერძნებთან) განრისხენ სპარსნი მოხუცებულნი. აწ ესე არს სათხოველი ჩემი, რათა დაჲ შენი მო-მცე მე ცოლად და შენ წამოხვიდე ჩემთანა ქვეყანასა მამისა ჩვენი-სასა. შემწე მეყო მე თავითა შენითა მტერთა ჩემთა ზედა, აბაშთა და ელამთა, ინდთა და სინდთა, რამეთუ უძვირესი ბოროტი და დამდაბლები მეფობისა ჩემისაჲ მათ ყვეს. აწ ოდეს მოხვიდე ჩემ-თანა, ესრეთ ვრქვა მოხუცებულთა და მარზაპანთა ჩემთა, რამეთუ სიყვარული ვყავ ჩემი და მოყვარეთა ჩემთა... და ამითა დავაცხროთ გულისწყრომა მათი...» (ქცს., გვ. 136). საკვირველი ის არის, რომ ისტვინესაგან შვილად არ აყვანილი ხოსრო მეცადინეობს ეშვილო-ბილოს ვახტანგ მეფეს. გამეფებისავე უმალ იგი სწერს ვახტანგს: მომეც მე ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე ვითარცა ერთი შვილ-თა თქვენთაგანი (ქცს., გვ. 146).

ხოსრო I დიდი, განათლებული და მოსამართლე ხელმწიფე იყო. სუზაში მან დააარსა აკადემია და ამ აკადემიის მასწავლებლე-ბად დანიშნა 7 ფილოსოფოსი, გამოდევნილი კეისრისაგან. მის დროს აღევავდა პოეზია, ფილოსოფია და რიტორობა; დაწერილ იქმნა ისტორია, გადმოითარგმნა ბერძენთა და ინდოელთ თხზულება-ნი, ინდოეთიდან მოტანილ იქმნა აბრეშუმის ჭია [40]) და სათამაშო

ნარდი. ამას გარდა კიდევ სსკა ცვლილებებიც შემოიღო ხოსრო I-მა და ფრიად განაძლიერა სპარსეთი. მანვე სპარსულს ენაზე გადმოთარგმნინა ინდოელთა თხზულება «ქილილა და დამანა, რომლიდან ორი იგავი შეტანილია თვით ვახტანგ გორგასლის «ცხოვრებაში» (ქცხ., გვ. 140 –141). ეს თხზულება, რომელსაც ქართლის ცხოვრებაც იხსენიებს «ქილილა და დამანად» (გვ. 269), ძალიან შე-

---

39) გიბბონი, IV, 492. განი, II, 69.

40) თვით საქართველოშიაც, როგორც გადმოგვცემს ზეპირთქმულება, აბრეშუმის ჭიის თესლი პირველად ვახტანგის დროს შემოვიდა.

საძლებელია, თვით ვახტანგსვე მოეტანოს ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნების დროს, და ანუ იქიდანვე მოეტანოთ ჭენბაკურ ორბელიანი.

აი ამ ხოსრომ შემოუთვალა ვახტანგს: მოკვდა მამა ჩემი და მეფედ მეო. მე ერმან მისმან. მოხუცებულთა მიბრძანეს, მოკიდე წინაშე შენსა და შენ წარმიძღვე მე შესლვად საბერძნეთს» (ქცხ., გვ. 146). მეფე ამ დროს აშენებდა ქალაქ ტფილისს და საფუძველი ოდენ დაედვა. იგი მიწევნილ იყო ვითარ სამეოცისა წლისა (იქვე).

ვახტანგმა უარი უთხრა. სარკის ასაღებად კი არ გვებრძვის ყაენიო, – ეუბნებოდა ვახტანგი კათალიკოზს, – არამედ რათა დაგვატევებინოს ქრისტეს სჯულიო (ქცს., გვ. 147). «მეფემ წარავლინა ქადაგი, რათა ერმა დაუტეოს სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არა ძლიერი, და შეივლტოდიან კავკასიანთა და კახეთად, რამეთუ კახეთი იყო ტყე შეუვალი მტრისა მიერ (ქცს., გვ. 147). ყველანი შეიხიზნენ მაგარ ადგილებში. ლოპოტის კლდიანი და კლდით მოზღუდვილი ხეობა გაივსო ხალხით. ამ ხეობის მოსახლენი. მაშინ ისევ ცეცხლისა და წყლის მსახურნი იყვნენ (გვ. 147). აქვე დადგა ვახტანგის ძე დაჩი მეფე. თვით ვახტანგი ცოლითურთ შევიდა უჯარმაში და წინა-ციხეში დადგა, მცხეთაში ჩააყენა დემეტრე, ნერსე და ბივრიტიანი. ამასთანავე კეისარს აცნობა ყაენის შემოთვლილობა და შემწეობა ითხოვა.

ყაენი განჯის მხრიდან იორზე გადმოვიდა, შემუსრა კამბეჩიანის (ქიზიყის) ქალაქნი და ჭერამისციხე და ველისციხე. კათალიკოზი და ყველა ეპისკოპოსნი შემოიკრიბნენ უჯარმას. სპარსთა ჯარი იყო 740,000. ვახტანგი შეება მტერს იორზე და დიდ ძალი ლაშქარი გაუწევიტა, აგრეთვე ყაენს მოუკლა მისი შვილი ბარტამი. ყაენი აიარა და რუსთავს ჩადგა (ყარაია). საუბედუროდ, ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა თვით ვახტანგიც. ჯარი ჩააბარა სპასპეტებს და თითონ უჯარმას დაბრუნდა. ყაენმა ჩავლო მტკვრის პირპირ, შემუსრა ტფილისი, მოაოხრა არმაზი და კარნუ ქალაქს (არზრუმს) მივიდა. იქ იდგა კეისარი. შეიბნენ ორთავე ბუმბერაზნი და ორივე, მხრიდან იმდენი მეომარი გაიჟლიტა, რომ სისხლის მდინარეები დადგა («ცხენი მუცლით აპობდა სისხლსა»).

ბრძოლის აღწერას ქართლის ცხოვრება ასრულებს სიტყვით:

«და ვერ სძლო ერთმანცა, რამეთუ სპანივუ ორთანივე დაიხოცნენ. და შეიქცა ხვასრო გზასა ქართლისასა» (გვ. 148).

ყოველივე ამას მსოფლიო ისტორია გადმოგცემს ასრე:

იუსტინიანესა და ხოსროს შორის უთანხმოება მოხდა. გარნა მაშუღლი დასრულდა ზავით, რომელიც დაიდო. 532 წელს. იუსტინიანემ, ამასთანავე, ყაენს მიართო 11,000 გირვანქა ოქრო. ამ ზაკის ძალით ბიზანტიაში გარდახვეწილ ქართველებს მიეცათ უფლება, უკეთუ მოისურვებდნენ სამშობლოში დაბრუნებას, დაბრუნებულიყვნენ 41). გარნა ეს ზავი რავდენიმე ხნის შემდეგ დაირღვა. ამის მიზეზად შეიქმნა იმპერატორი. ხოსროს შეატყობინეს, რომ იუსტინიანე შენს სამტროდ ემზადებაო, იმან სომხეთი დაიპურო, ხელს იწვდის ჭანეთისკენაც და სურს შეიქმნეს მსოფლიო იმპერატორიო. სოსრო. გადავიდა ევფრატზე და მიადგა დურას. აიღო იგი და ამოჟლიტა მტერი. მანვე დაიპურო ასურეთი, დაანგრია ანტიოქია და იერუსალიმისაკენ გასწია. იმპერატორმა მის წინააღმდეგ გამოგზავნა შესანიშნავი სპასალარი ველისარი. ხოსრო შეშინდა, უკან დაიხია, ევფრატზე გადმოვიდა და კოლხიდაში შემოვიდა. ველისარიც უკანვე დაბრუნდა, რადგან იმპერიას სხვა მხრიდანაც განსაცდელი მოელოდა.

სალაშქროდ წასვლის წინად, როგორც სჩანს ქართლის ცხოვრების ზემორე მოუვანილ ცნობებით, ხოსროს სდომებია ვახტანგის მიმხრობაც, გარნა ვახტანგი რომ უარზე დამდგარა, იგი სა- ქართველოში შემოსულა, ვახტანგს შებრძოლებია, სასიკვდილოდ დაუჭრია, აუოხრებია ზოგიერთი ციხე-ქალაქი და მერე აჩქარებით წასულა კარნუ ქალაქისაკენ, რომ უყაენოდ დარჩენილ სპარსეთს არ შესეოდა კეისარი.

ყაენის წასვლის შემდეგ დამძიმდა ჭრილობა ვახტანგისა: მტრის გამოსროლილი ისარი ფილტკამდე დასობოდა მას. სიკვდილის წინად მოიწვია მან ცოლ-შვილი და დიდებულნი და უთხრა: «სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ». მერე დაჩის უთხრა: «შენი ძმებისათვის და ჩემი შვილებისათვის ბერძნის ცოლისაგან მიმიცემია

---

41) განი. წიგნი II, გვ. 16–17; გიბბონი. IV, 500.

ტასის კარითგან (ბორჯომიდან) და წუნდითგან სომხითამდე და საბერძნეთამდე და აგრეთვე საზღვარი აფხაზეთისა ეგრისწყალსა და კლისურას შუა. შენ იყავ მეფედ და ძმები შენი კი ერისთავებადა». შემდეგ დედოფალი ელენე და მისნი შვილნი (ლეონ და მირდატ) ჩააბარა წუნდის ერისთავს ნასარს, კლარჯეთის ერისთავს არტვაზს და ოძრხის ერისთავს ბივრიტიანს. და გარდაიცვალა (532 წელს). მთელმა ერმა გოდება და თავპირის ტყება იწყო. ნაცარს იერიდნენ. გოდების სმისაგან იძვროდა მთელი ქვეყანა. გარნა ჰნატრიდენცა მას, რომ ქრისტესთვის მოიკლა. იგი შეირაცხა მოწამეთა შორის[42]) და დასაფლავებულ იქმნა მცხეთის სვეტიცხოველში. «საფლავსა მისსა ზედა, – ამბობს ქართლის ცხოვრება, – წერილ არს ხატი მისი, სწორი ასაკისა მისისა» (გვ. 149).

ვახტანგის შემდეგ დიდს განსაცდელში ჩავარდა საქართველო:

ყაენებმა მეფეებს ჩამოართვეს მეფური უფლება და ეკკლესიაც მეტის-მეტად შეავიწროეს. ამ სავალალო დროს ეკკლესიას ნუგეშად გამოუჩნდნენ კაიბადუკიიდან მოსულნი 13-ნი მამანი და სამეფოტასტს კი გურამ ბაგრატიონი.

მ. ჯანაშვილი

---

[42]) ქართლ. ცხ., II, გვ. 25.

სამეგრელო-სვანეთის

სამთავროთა გაუქმება

კ. ალ. ბოროზდიხისა.

5 *)

თებერვალსა თუ მარტში დ. ყიფიანი სამეგრელოში მოვიდა. რამდენჯერმე იყო გენარალ მ. კოლიუბაკინთან, ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ერთი პროგრამა შეედგინათ მოქმედებისა და ისე ეწარმოებინათ სამთავრო მამულების საქმენი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მორიგდნენ. გენერალი იმას ამბობდა, რომ კანონის წინაშე მთავრის მამულები კერძო მესაკუთრის მამულებად უნდა ჩაითვალოს და, მაშასადამე, ეს მამულებიც იმავე კანონს უნდა ექვემდებარებოდეს, რა კანონსაც კერძო მესაკუთრეთა მამულები ექვემდებარებაო. დ. ყიფიანი კი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მთავრობამ ისე უნდა მოუაროს მთავრის მამულს, როგორც სახაზინო მამულსაო. ამ შინაურულ მოლაპარაკების დროს გენერალი ხშირად ცხარობდა და არჩია დ. ყიფიანთან ამ საქმის შესახებ მხოლოდ მიწერ-მოწერა ჰქონოდა და ისიც ოფიციალურის ხასიათისა.

მაისში ფოთი ქალაქად იყო გამოცხადებული და უნდა ეკურთხებინათ. ამ შემთხვევისა გამო ორპირში მოიყარა თავი მთელმა უფროსობამ. აქ იყვნენ: გენერალ-გუბერნატორი, ქუთაისის გუბერნატორი, სამეგრელოს მმართველი, რამდენიმე მაზრისა და ოლქის უფროსები, სამი ეპისკოპოსი – ქუთაისისა, ჭყონდიდელი და გურიისა. ამ კამპანიაში რამდენიმე ქალიც

---

*) „მოამბე“ 1897 წ. №№ X, XI და XII; 1899 წ. № II,